ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 146
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ფოთი **„18“ სექტემბერი 2019 წ.**
ერთის მხრივ
ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური”ს/კ 215082764.
მისამართი: ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქუჩა N 93.
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი: TRESGE22ა/ა: 707247519.
დირექტორი: რევაზ ბაბილუა. (შემდგომში „შემსყიდველი“)
და მეორეს მხრივ
ი/მ „ ნატო არაჰამია“ ს/კ 62005017489;
მისამართი: ქ. ფოთი ჭანტურიას ქ. № 9.
საბანკო რეკვიზიტი: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22; GE 62 TB 7836945061100020.

(შემდგომში ”მიმწოდებელი”) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1„მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს „შემსყიდველ“–ს მიაწოდოს საქონელი ჩამონათვლის შესაბამისად:

№	CPV კოდი	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ღირებულება
1	4441110	შემრევი ონკანი	ცალი	1	70.00	70.00
2	39715300	გადამყვანი	ცალი	21	2.00	42.00
3	44165100	შლანგი გოფრირებული 32-იანი	მეტრი	100	1.50	150.00
4	44531000	დამჭერი N8	შეკვრა	1	20.00	20.00
5	42122180	საწვავის ხელის ტუმბო	ცალი	1	10.00	10.00
6	44322300	კაბელის არხი 20 მმ-იანი, 2 მეტრიანი.	ცალი	17	3.00	51.00
7	44424200	წებოვანი ორმაგი ლენტი	ცალი	2	6.00	12.00
8	24910000	წებო AB	ცალი	1	6.00	6.00
9	24910000	წებო ეპოქსიდი	ცალი	1	12.00	12.00
10	24910000	წებო GRANIT	ცალი	1	10.00	10.00
11	24910000	წებო ორკომპონენტიანი	ცალი	1	12.00	12.00
12	31310000	როზეტი დახურული	ცალი	1	6.00	6.00
13	31224200	ელ.ჩამრთველი	ცალი	1	4.00	4.00
14	31224100	ელ.ჩანგალი	ცალი	1	3.00	3.00
15	44111200	ცემენტი დეკორატიული.. 25 კგ	ტომარა	1	35.00	35.00
16	44111510	ტოლი.(საიზოლაციო მასალა) 10მეტრი	რულონი	1	85.00	85.00
17	44531000	ხამუთი (დამჭერი)	ცალი	22	1.00	22.00
		სულ:				**550.00**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 550.00 (ხუთასორმოცდაათი ლარი 00 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3 საქონლის მიწოდების ვადები

3.1 შესყიდული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2019 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

4.1. მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის: ანგარიშფაქტურის, სასაქონლო ზედდებულის და მიღება–ჩაბარების აქტის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში ლარში, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდული საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლი“–ს მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს „შემსყიდველ“–ს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა) მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

6.5 მხარეების პასუხისმგებლობა:

ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1 % - ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

საჯარიმო სანგციების გადახდა არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.

7.2. თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

8.2 ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს „შემსყიდველი“–ს მიერ გამოყოფილი თანამშრომელი – ზაზა მარკელია.

8.4 "მიმწოდებელმა" "შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

8.5 ხელშეკრულების დადების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტი (5000 ლარამდე შესყიდვა).

შემსყიდველის მხრიდან

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“–ს

დირექტორი: რევაზ ბაბილუა

LEPL State Hydrographic Service of Georgia

Digitally signed by LEPL State Hydrographic Service of Georgia
Date: 2019.09.18 15:56:02 +04'00'

მიმწოდებლის მხრიდან

ი/მ ,, ნატო არაჰამია“: ნატო არაჰამია